

114.
1956/4


ქართული
ანტიკვარია

მეტეოროლოგია

12

გეოგრაფია



1956

1956/4

მ ნ ა თ მ რ ი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყისი

წელიწადი 3-ე

№ 12

დეკემბერი, 1956 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

2382

შ ი ნ ა ა რ ს ი

დექანდრე ჯომიაშვილი — აღგილის დედა, ლექსი	38-3
აკაკი ბელიაშვილი — ქიათურა, ნაჩკვევი	4
ნვლელოზ ტბოიოვი — ტუსთავი, ლექსი. თარგმანი ხარიტონ ვარლამაშვილის	31
ფრლამ ეურელი — ლექსები	32
აკაკი ვაწაძე — ლექსები	33
სოლომონ თვაძე — შინადირის დღიურიდან, მოთხრობები	36
ფსტორ მაღაზონია — ნაზიმ ჰაქიმეთს, ლექსი	55
ქარმენ ლორია — აბალი უფროსი, მოთხრობა. შინისტრა, ნაჩკვევი	56
ფრიდონ ხაღვაში — შინდორში იღვა პატარა სახლი, ლექსი	64
შოთა როყვა — ოლეგის დედა ბიონეკუბთან, ლექსი	64
ანა გვარიაშვილი — დამაზი იყავ, ლექსი	64
ელენ რურუა — მეზალე-ნაიბრობა	65
დევან გელაძე — გიორინდი, გულო, ლექსი	70
აკაკი მელია — გამოუთქმელი წუხილი, ლექსი	70
დექანდრე ჩხაიძე — ქარიშხლის შარკები, სატირული მოთხრობა	71
ჰამია ვარშანიძე — მარადილი, ლექსი	78
ბერგი ეხინი — ანა სნეგინა, ნაწვევი პოემოდან. თარგმანი გიორგი სალუქვაძისა	79
ირიდიონ ქავერაძე — საოცნებო ხეხელა, მოთხრობა	83
გრიგოლ ცეცხლაძე — ლექსები	87
პოლი აბრამია — ლექსები	88
ოთარ შალამბერიძე — ლექსები	89
ფანტანე გოლოლაშვილი — ლექსები	90
ჰაინრიხ შანი — საბარლო ტონიეტა, ნოველა. თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა	91
ბორის პასტერნაკი — დამოიანები და გარემოებანი, დასასრული. თარგმანი გ. მარგველაშვილისა	97

ქიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ვახტაძე — პლენარის ესტეტიკური იდეალები	111
ნ. ბერძენიშვილი — პ. ინგოროვას წიგნის — „გიორგი მერჩულეს“ გამო	125
ქეთ. ლომთაძე — აფხაზთა ვინაობისა და განყოფილების ზოგიერთი საკითხის შესახებ	132
გურამ ასათიანი — ლირიული პოეზიის ზოგიერთი საკითხი	140
ალ. ჩაველიშვილი — ნაკლებგავრცელებულის ტიპიურობის საკითხისათვის	145
იხ. მე-2 გვ.	





აფხაზთა შინაომისა და განდგომის გოგონათი საკითხის შესახებ

(პ. ინგოროყვას ნაშრომის „გეორგი მერჩულეს“ გამო)

პ. ინგოროყვას ნაშრომის „გეორგი მერჩულეს“ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობის ვარკვევა აფხაზეთის სამეფოს¹ ხასიათის ძიებასთან დაკავშირებით.

ავტორის დებულებათ: „აფხაზეთის სამეფო“, წარმოქმნილი მე-მ საუკუნეში, იყო საკუთრივ ქართველი ტომის — მესხთა — სამეფო. ეს ტომი და სხვა ქართველი ტომები სახლობდნენ როგორც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისე შავი ზღვის ნაპირის ჩრდილოეთით ნიკოპოლიამდე (დღევანდელი ტრაქსის ჩრდილოეთით).

ამ ტერიტორიაზე არსიადეს უცხოვრიით არა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს, კერძოდ, ჩერქეზულ ტომებს (ამ ავტორი ვულისხმობს აფხაზურსა და ჩერქეზულ ენებზე მოლაპარაკე ტომებს); არ უცხოვრიით არაუღ აფხაზეთის სამეფოს¹ წარმოშობამდე და ამ სამეფოს არსებობის პერიოდში, არამედ სულ გვიან ხანებამდე. კერძოდ, აფხაზეთის სამთავროს ძირითად მხარეში აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი არა ჩანს მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ხსენებულ დებულებას ავტორი აყენებს ისტორიული წყაროების თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე და მის დამტკიცებას ცდილობს ეთნიკურ და ტოპონიმურ სახელწოდებათა ისევე თავისებური ანალიზის გზით.

ეთნიკურ ტერმინს „აფხაზს“, „აბაზს“, „ბაზს“ („მოსოზ“) ტერმინის ფონეტიკურ სახესხვაობად და ამის კვალობაზე აფხაზეთში (კელასურიდან ჩრდილოეთით) მოსახლე აფხაზთა ტომს მიიჩნევს ქართულ ენაზე მეტყველ მესხთა ტომად. აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი კი აღნიშნულ ტერიტორიაზე, მისი აზრით, ჩრდილოეთიდან გადმოდის მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ.

ნ. მარ, ეთნიკურ ტერმინთა პრეისტორიით გატაცებული, მართლაც იხდენდა მესხ-მოსოზ-ისა და აფხაზ-აბაზს-აბაზს-აბაზ-ის შედარებას (სამეფობაროდ. პ. ინგოროყვა ამაზე არ მიუთითებს). რომ დავუშვათ კიდევ ამ სახელწოდებათა ერთიანი წარმოშობა, ეს არავითარ საფუძველს არ მისცემდა მკვლევარს, რომ ისტორიულ ხანაში ამ სახელებით განსხვავებული ტერმინებით გამოხა-

ტული სხვადასხვა ტომები ერთ და იმავე ტომად შეეჩნია.

პ. ინგოროყვა არ სვამს კითხვას, როგორ მოხდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ქართველთა გარდა თითქმის არც ერთი სხვა ტომი არ სახლობდა, ერთსა და იმავე დროს ქართველები მესხთა ტომს მესხებდაც ეძახიან და აფხაზებდაც.

პ. ინგოროყვას მტკიცებით, მის მოხატვებს აღსატურებს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის თურქი მოგზაური ევლია ჩელები. პ. ინგოროყვას ევლია ჩელების სიტყვები ასე მოჰყავს: „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაჩ, რომელიც ლაპარაკობს იმავე მეგრულთ, რომელიც ხმარებაშია ფამის იმიერ მხარესო“. პ. ინგოროყვას (1641 წ.) გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე, მთელი აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილში ჯერ კიდევ არავინ ლაპარაკობს აფხაზურ ენაზე(1).

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. ევლია ჩელების მოგზაურობის 11 ტომში, რომელიც გამოეყვლია 1896 — 1897 წ. სტამბოლში და რომელშიაც წარმოდგინილია თურქული ტექსტი სრული სახით, აბაზას (resp. აფხაზეთის) ვილაიეთის აღწერისას ევლია ჩელები პირველად ასახელებს ჩაჩების ტომს და შენიშნავს, რომ „ჩაჩები მეგრულადაც ლაპარაკობენ (ერთმანეთში), რადგანაც მდინარე ფამის ვილა მხარე მთლიანად სამეგრელოაო“.

ევლია ჩელების ჩვენებით, სწორედ ჩაჩები (აფხაზთა ტომი) მეგრულადაც ლაპარაკობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სხვა, თვითონ საკუთარი ენაც აქვთ (აფხაზური ენა).

ვისთვისაც აფხაზთა ენობრივი განკუთვნილობის საკითხი ასე სადავო იყო, მისთვის მართლაც საინტერესო უნდა ყოფილიყო ევლია ჩელების ცნობები. ევლია ჩელებია ის პირველი მოგზაური, რომელმაც ტომების აღწერასთან ერთად მოგვცა მათი ენის ნიმუშებიც. ევლია ჩელების თავის შრომის სწორედ იმ გვერდებზე, სადაც აფხაზების შესახებ აქვს ლაპარაკი, მოყვანილი აქვს აფხაზურ ენაზე რიცხვითი სახელები და ცალკეული ფრაზები. ევლია ჩელების ჩანაწერები აფხაზური მეტყველების ილუსტრაციის წარმოად-

¹ იხ. გვ. 102. ენობა მოგვაწოდა ს. ჯაქიამ ჩისიფისაც მადლობას მოგახსენებთ.

გენს; ეს ჩანაწერები მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ამ ენის პირველი დოკუმენტურად დადასტურებული მასალა. აფხაზეთი ენის ამ ნიმუშებს საკუთალისტები ბზიფური დიალექტის კეთილშობილად მიიჩნევენ¹, სწორედ იმ დიალექტისა, რომელიც აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილს მოიცავდა.

ამგვარად, ევლია ჩელების მასალა არათუ არ გამოადგება პ. ინგოროყევის თავისი დებულების საფუძვლად, ევლია ჩელების მასალა გამოითქვას პ. ინგოროყევის დებულებს.

მავე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ევლია ჩელების თანამედროვე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც დეკო 18 წელი სამეგრელოში და დავიძროვა მისი ვრცელი აღწერილობა, სამეგრელოს ტერიტორიის დასახლებებისას წერს: „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არას-კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი რადგან კოდორის საზღვრებშია (ძველთა სიტყვით) ერთი მხრით ფაზისი და მეორე მხრით—კორაქსი; როგორც ფაზისი ჰეოფს სამეგრელოს გუბიდან, ისე, კორაქსი ჰეოფს მას აფხაზეთისაგან, და როგორც ფაზისი მას ვალშია მეგრული იტყვლება ქართულად. ისე კორაქსის ვალშია იტყვლება აფხაზეთურად. აქედან ცხადია, რომ — განაგრძობს არქ. ლამბერტი — მეგრელების კოდორი ძველებური კორაქსია, რადგან კოდორის ვალდაღვეტ ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებულ ენით“² (ზაზი ზენია, — ქ. ლ.).

ამ უკვე ევლია ჩელების თანამედროვის მიერ დატყვევება მითითებული, რომ აფხაზეთში თავისი (აფხაზეთური) ენა აქვს.

პ. ინგოროყევა, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ წაიყენებელი დებულების დასამტკიცებლად მხოლოდ ტიპონიმის ანალიზს და ყველა გეოგრაფიკულსაბუნს ქართული წარმოშობისად მიიჩნევს.

მაგრამ ამა თუ იმ ტერმინის ანალიზის დროს ავტორი ანგარიშს არ უწყევს მის მთელ რივ სახეობებს.

ისე მეგ., იმისათვის, რომ მედ. ბზიბი და მისთან დავიფიზირებელი სოფლის სახელწოდება ბზიბი ჩათვალოს ქართ. სიტყვის „ბზა“ — მზაგლობათ ფორმად (*ბზები). პ. ინგოროყევა ანგარიშს არ უწყევს ამ ფაქტს, რომ აფხაზეთში მის ეწოდება ბზეფი (მზაფი) და არა ბზიბი. ავტორი არც იმ კიდევს სევას, თუ რატომ არაა ეს ქართული სიტყვა შემონახული ბზეპის სახით, როგორც ეს

მისი ეტიმოლოგიის მიხედვით იყო მოსალოდნელი. მაშინ, როცა ეს დაბოლოებებიანი გეოგრაფიული სახელები ქართულში ბლომად მოგვეპოება. შდრ. ბოსლები, კოშკები, ბაგები, ქვები და სხვ.³ საყურადღებოა, რომ ვახუშტიც ამ სახელი ფ თანხმოვნით იცნობს: ზეფუ⁴. ზეფუ მეგრული გამოთქმის მიხედვითაა გადმოცემული და მომდინარეობს ბზეფ-დან.

ნამდვილად კი სახელწოდება ბზეფ უბიბური წარმოშობის სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: ბზე || ბზი უბიბურიად წყალს აღნიშნავს და სრული კანონზომიერა შედგენა შესატყვისია აღიერი „წყლის“ აღნიშვნელი ფსჰ სიტყვისა; მეორე ფ — ელემენტი⁵ კი აფხაზეთ-ადილურ ენებში გავრცელებული ტიპონიმური სუფიქსია (იგ. ჯაგაბიშვილი, ს. ჯანაშია).

უბიბების ყოველ ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება სოჩა პ. ინგოროყეამ მარტივად დავიკეშირა „სოჩელ“ სიტყვას. სოჯი და ადვილად გადაყვეტა მისი წარმოშობის საკითხი. ამ შემთხვევაში მან სათანადო ანგარიში არ გაუწია ამ სახელის უბიბურ გამოთქმას, სადაც იგი სიჩა-სახეს ატარებს. ასეთი თემის სახელწოდება უბიბებში დღესაც არსებობს. პ. ინგოროყევა, აკრტიყებს რა მეველვართა მოსაზრებას ამოსავლად სიჩა-სახეობის არსებობის შესახებ, წერს: „შიდა-სანიხეთში გვიან ჩამოსახლებული უბიბთა ტომის მეტყველებია სახელწოდებას „სოჯი“ ცვლილება განუცდია, გადაკეთებულია როგორც „საჩა“. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში უბიბები სახლობდნენ სოქის-წყლის ხეობის ზემო ნაწილში და მათი თემი „საჩა“-ს სახელწოდებით ყოფილა ცნობილი, იმ დროს, რადგანაც, სოქის-წყლის ხეობის ქვემო ნაწილს შერჩენილი ჰქონდა ძველი სახელწოდება — სოჯი (უბიბების თემი, ევლია ჩელების, განსხვავებით საერთოდ სოქის თემიდან, აღნიშნული აქვს როგორც „საჩა“). უფრო გვიან უბიბები ჩამოსახლდნენ სოქის ხეობის ქვემო ნაწილში, სახელწოდება „საჩა“ მათ გადამოიტანეს ხეობის ქვემო ნაწილზედაც“⁶. არსიდან ჩანს რას ეყარება პ. ინგოროყევის დებულება უბიბების მე-17 საუკუნეში დღევანდელი სოჩის შიდაშობილი ჩამოსახლების შესახებ. იმას ხომ არ, რომ ევლია ჩელების ეს სახელწოდება ორი ვარიანტით აქვს ჩაწერილი: „საჩა“ და Sudja-lar? (მაგრამ არა სოჯი!)

წარმოვიდგინათ, რომ ითქმოლა „სოჯი“ და უბიბებში, როგორც ამას პ. ინგოროყევი ფიქრობს, ეს ქართული სიტყვა გადაიღეს „საჩა“-დ. საკი-

¹ იხ. А. Н. Генко. О языке убухов. Известия АН СССР. 1929. გვ. 242.

² იხ. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჰუონისი. მეორე გამოცემა, ლევენ ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი. 1938. გვ. 176.

³ იხ. აკ. შანიძე, „ევ კილომ ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 111, № 8, 1941, გვ. 763.

⁴ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლამარუისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1941, გვ. 171.

⁵ პ. ინგოროყევა. გეოგრაფიკული მარტული. გვ. 160.

თხავია, ქართ. „სოჭი“ სიტყვის ქ ბგერა რატომ ქ-დგე აღარ გადაიღეს უბიძგებმა ან ჩერქეზებმა, ან აფხაზებმა, რომელთა ენაშიაც უგამონაკლისად ჩ ბგერა ისმის ამ სახელწოდებაში და მაშინ, როდესაც ყველა ამ ენას ქართულზეთ აქვს ქ ბგერა?

ამგვარი საკითხების გაუთვალისწინებლობა შეუწყენარებელია. მიუხედავად ამისა, პ. ინგოროყვა უსავედრებებს საქმეში კარგად ჩახედულ მკვლევარებს: „სოჭის ზემოაღნიშნული ისტორია არა აქვს გათვალისწინებული ზოგიერთ მკვლევარს, რომლებიც ერთმანეთში ურევნი პირველად ფორმას (სოჭი) და გვიანდელ ფორმას (სანაო)“¹.

პ. ინგოროყვა თვლის, რომ ჩერქეზი ტომები ტუაფსეში დასახლდნენ მხოლოდ მე-17-18 საუკუნეში, რის შემდეგაც მოდის სახელწოდება ტუაფსე, ხოლო მანამდე ამ პუნქტს ერქვა ქართულ სახელები ლიაი, ლია და წურჭუხი (წურჭახი), რომელთაც განმარტავს ლამის მნიშვნელობით².

მის მიერ მოყვანილი წყაროების მიხედვით არა ჩანს, რომ უთუოდ აღნიშნულ ადგილს რქვეოდეს წურჭუხი (წურჭახი). თანაც ძველ რუკებზე აღნიშნული *Zuruchi, Sugakho, Susako* — არ იძლევა ამის გარანტიას, რომ აქ უთუოდ წ ბგერა ამოვიკითხოთ: წურჭახი, წურჭუხი (და რატომ არა ბერძნები, ჯერჯერობა, სუსაკო და ა. შ.). ასეთი წყიობა ნებისმიერია. ასე უნდა იქნეს იგი წყიობა ტუაფსეში, რომ დაუკავშირდეს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში არსებულ სიტყვას — წურჭუხი — *чурчухи, тина, туха*.

რაც შეეხება ლია, ლია-ს, რომელსაც პ. ინგოროყვა ტუაფსედ აცხადებს, თვით ფეტორის ჩვენთა ბიანკოს იტალიურ რუკაზე აღნიშნულია *porte de Laio*³.

პ. ინგოროყვა კი იმისათვის, რომ შეგვ. ლია-ს მიუდგეს ბიანკოს იტალიურ რუკაზე აღნიშნული *Laio*, უერადლებას არ აქცევს ამ სიტყვის ბოლო ი ზნაყანს.

ნამდვილად კი აქ ჩვენ წინ არის სახელწოდება ზღვისპირა პუნქტისა *Лео*-დ წოდებული (აფხაზურ-ჩერქეზულად: ლოუ, ლოუ, ლო).

თვით ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება დაკავშირებულია მთელ აფხაზეთ-ჩერქეზეთში გავრცელებულ ლაქსლო — გვართან, რომელსაც ჩერქეზული ეტიმოლოგია მიუბოძება (იგი აღნიშნავს: „გარეულ ტახს“ და გამოიყენება სიძლიერის ეპითეტად).

აღნიშნული გვართან ნაწარმოები სოფლისა და თემის სახელები სისტემატურად გვხვდება აზოზეზში და ჩერქეზეზში. არის, მაგ., ფუბანლოუ — ქეთ — „უბანის ლოუ“ — სოფელი; ლოუ-ქეთ-პან — „პატარა ლოუ-სოფელი“ და სხვ. მრავალი.

მდ. აშე-ზე აშენებულ ნავთსადგურისათვის გვლი ჩელების მოჰყავს სახელწოდება *Ash-gali* — მერე ნიწის პ. ინგოროყვა კითხულობს შეგვრულ „ალო (დეღე)“ — სიტყვად⁴.

ჩელების მიერ ჩაწერილი *Ash-gali* არის ჩერქეზული აშე-კალ(ა), რაც ნიშნავს „აშე-ციხე-ქალაქს“. კალა, ყალა თურქულიდან შეთვისებული ქალაქი, ციხე“ სიტყვაა (მდრ. „სუხუმ-კალა“).

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ დიდწილ გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა თა სუფიქსი: გუდაუ-თა, მამა-თა და სხვა მრავალი. პ. ინგოროყვას აზრით, ყველა თა სუფიქსის შემცველი გეოგრაფიული სახელი, რაც კი მოიპოვება მის მიერ მოხაზულ ტერიტორიაზე, ქართულია, რადგანაც თა რგანულია ქართული ენისათვის (იგი სახელთა ბრუნვის ნიშნია ქართულად)⁵.

მართლაც, ქართულში გვხვდება გეოგრაფიულ სახელებში თა სუფიქსი — ჩხიკეთა, მოწამეთა და სხვ., მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი მრავლობითის ნათესაობითის გაგებას გაღმოსცემს. გეოგრაფიულ სახელებში კი ქართულისათვის ჩვეულებრივია ეს სუფიქსი.

ქართული გეოგრაფიული სახელების-თა სუფიქსი (მოწამე-თა, ჩხიკეთა) და აფხაზურში არსებულ გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი თა სუფიქსი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობას არის⁶ და მათ განსხვავებულ ეტიმოლოგიაყ აქვთ.

აფხაზურის თა სუფიქსი აღვლიმდებარობას გამოხატავს. ასე, მაგ., მდინ. ბზუფი-დან იწარმოება თა სუფიქსით ბზუფ-თა ბზილის ხეობა (აღვლით); მდინ. მქუშ — მქუშ-თა და ასე შემდეგ. არა ერთგზის აღნიშნულია, რომ ასეთი აღვლის საწარმოებელი თა სუფიქსი მოვბოვება აფხაზურ ენას.

ამ დაბრკოლების მოხსნას პ. ინგოროყვა იმით ცდილობს, რომ აღსუსთ მეტყველებას ც. ი. აფხაზურ ენას, თა სუფიქსი ქართულიდან შეუთვისებიაო⁷. მეცნიერული საფუძველი ასეთ განცხადებას არა აქვს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქართულ გეოგრაფიულ სახელებში არსებულ თა სუფიქსი სრულიად განსხვავებული შინაარსისაა (სახელოს მრავლობის ფორმაზე მიუთითებს), აფხაზურისა კი ადგილის აღნიშვნეულია. კითხვა დგას, როგორღა შეითვისა აფსუსის მეტყველებამ ქართულისაგან თა სუფიქსი, როცა ასეთი სუფიქსი ადგილის გამოსახატავად

¹ იქვე, გვ. 165.
² იქვე, გვ. 180.
³ იხ. ვ. თოდუბია, „გეოგრაფიულ სახელებთა სუფიქსისათვის ქართულში. ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11 — 12 გვ. 7 — 10.
⁴ იხ. პ. ინგოროყვა „ვიორგი მერჩულე“, გვ. 180.

¹ იქვე.
² იქვე, გვ. 164.
³ იქვე.

თვით ქართულ გეოგრაფიულ სახელებს აწი-
აქეთ?

გარდა ამისა, მთავარია სწორედ ის, რომ აფხ-
ხაზურში ეს სუფიქსი მკვიდრი, ამჟამადაც ცო-
ცხადია და მოქმედი სუფიქსია. „ადგილის“, „სა-
ცაყის“ მნიშვნელობით იგი ფართოდ გამოიყუ-
ნება სხვა შემთხვევებშიც. მაგ., აძხარა — „კერვა“
აქედან აძხარ(ა)-თა — „სამკერვალო“, „საკერავი
ადგილი“. აციარა — „ძილი“, აქედან: აციარ(ა)-
თა — „საწილო ადგილი“, „ქვეშაგებელი“, აცი-
არა-ჯდომა“, აქედან: აციარ(ა)-თა „საჯდომი
(ადგილი)“ აუნჯ — „სახლი“, აუნა-თა „კარმიდა-
მი“, „სახლის ადგილი“; აჯჯა — „მარლი“,
აჯჯა-თა(ა)-რა — „სამარლი“ „მარილის საცა-
ყი“ და სხვ. მრ.

თა ცალკეც არსებობს და გამოყენებულია უძ-
ველეს აფხაზურ სიტყვებში „ფუძის“, „ოჯახის“
მნიშვნელობით, მაგ., ასას დი-თა-უბ ნიშნავს
„მას სტუმარი ჰყავს შინ, ოჯახში“; სი-
რეცა ა-თა-ცა — „პატარალი“ შეიცავს იმავე
ფუძის, „ოჯახის“ აღნიშვნელ თას. ნიშნავს:
„ოჯახის რძალი“ (მღრ. ჰანურა. ობორ-ჯა „ყო-
ლი“, „სახლის რძალი“) და მრ. სხვ.

აღნიშნული თა ფართოდაა აფხაზურ ზმნე-
ბში გამოყენებული „შოგ“-წინდებულის ფუნქ-
ციითაც: მაგ., ათა-გალარა — „შოგ (საცემში)
შეტანა, შელაგება“ და მრავალი სხვა.

ასეთი ფაქტების არსებობის პირობებში განი-
შეიძლება იმის მტკიცება, რომ თა სუფიქსი აფ-
ხაზურმა ენამ ქართულიდან შეითვისაო?

ეს აფხაზური თა სუფიქსი ერთგის წყლის აღ-
ნიშვნელ ფს-ჟს (ფს. პის შესახებ ქვემოთ) და
კიდევბთ რთულ -ფს(თა)-სუფიქსი (ზეობის მნი-
შვნელობით). იგი ჩვეულებრივია გეოგრაფიულ
სახელებში. ამდენად ამ წარმოების სახელწოდე-
ბებზეც არ შეიძლება ქართულად მივიხიროთ.

შთელ რაც შემთხვევაში აფხაზეთ-ჩერქეზეთის
ტერიტორიაზე არსებული -ნა-ნა დაბოლოებანი
სახელები 3. ინგოროვას მინჩელი აქვს ქართუ-
ლად იმ საბუთით, რომ დაბოლოება -ნა გვგვლე-
ბა ტოპონიმიაში ქართულშიც¹. ასეთიდაა, მაგა-
ლითადა, გამოცხადებული გეოგრაფიული სახელ-
წოდებანი ნაანა, დღენა და სხვა მრ. სანამ
არ დამტკიცებულა ნაანა, დღენა ფუძითა
ქართულთა, მანამ ძნელია -ნა სუფიქსის მი-
ზედებით ისინი ქართულად გამოვაცხადოთ.

არა ერთგზის აღნიშნულა, რომ აფხაზურს
გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად მოე-
პოვება -ნა ნ₂ 5 სუფიქსი. ასე აწარმოებს მა-
გალითად, აფხაზი თვით აფხაზეთის სახელწოდე-
ბაში — ფს-ნ₂ (ამ სახელის აფხაზურობაში,
კვიჭრობო, ვჭვის შეტანა შეუძლებელია), აგერ-
ნ₂ — „სამეგრელო“ (მღრ. აფს-უა, აფხაზი
აგერ-უა — „მეგრელი“) და სხვა მრავალი.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოწველილ
ვთ უნდა იქნეს გამოკვეთილი ამა თუ იმ გეო-

გრაფიულ სახელში ნ₂ აფხაზური ადგილის გა-
მომხატველი სუფიქსია, თუ ქართული მრავლო-
ბითის აფიქსი. ამის ვარკვევის ცდაა კი 3. ინგო-
როვას ნაწარმში გერ ეპოლიობთ: აგს სხელდ-
ბით უგულებელყოფს აფხაზური ენის მასალას
ეტიმოლოგების დროს. კერძოდ, ლიხნი მას
მრავლობითის ფორმად მიახნია. ლიხ-ფუძიდან ნი
(sic!) ქართული მრავლობითის აღნიშვნელი
ფორმატორი¹. ნამდვილად კი 6² აფხაზური
გეოგრაფიული სახელების საწარმოებელი აფიქ-
სა და არა მრავლობითობისა. ლიხ მართლაც
უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ლიხ ფუძეს
გეოგრაფიულ სახელებში, მაგრამ მას აფხაზური
დაბოლოება აქვს. რომ ეს აფხაზური 5 სუფიქ-
სია, იქიდან ჩანს, რომ იგი ადვილად უნოდება
ფუძეს სათანადო აღამინათა წარმომავლობის სა-
ხელითა წარმოებისას (მღრ. ლუხაა — ლიხ(ნ)-
ელები (რაც მოსალოდნელი არაა, როცა სუფიქ-
სი მრავლობითისაა).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემ-
ჩნებულა, რომ ტოპონიმიაში, კერძოდ, მდინა-
რეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს
ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხა-
ზეთი) გვხვდება ფსა (ფს₂) დაბოლოების მქონე
სახელები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანა-
შია). ტოპონიმოლოგ სახელთა ეს ელემენტი სავ-
სებით სამართლიანად მიჩნეულია ადიღურ
(ჩერქეზელ) სიტყვად, სადაც იგი წყალს აღ-
ნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება როგორც
რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის
მნიშვნელობის გადმოსაცემად.

ს. ჯანაშიას ნაწევები იჭეს, თუ რამდენად
გავრცელებული წარმოება იგი ჩერქეზეთში
მდინარეების სახელწოდებაში, როგორცია, მაგ.,
Шелси, Макопсе, Куженс, Псекупс, Хотыпс,
Челси, Безепс, Курджупс, Чекупс, Псебс,
Кунипс, Азипс, Афипс, და სხვ.²

წყლის აღნიშვნელი ეგვეც ელემენტი ს. ჯანა-
შიას გამოვლენილი აჭეს როგორც ამჟამად არსე-
ბულ, ისე უძველეს ისტორიულ წყაროებში და-
დასტურებულ სახელწოდებებში აფხაზეთ-აჭარა-
გურიის ტერიტორიაზე: ლაშ-ფს₂ (აფხაზეთში
ხესს || ხ₂ფს (აფხაზეთი), აფს (აფხაზეთი), ვუსს
„გუს-ფს; ანონიმი პიზანტეული გეოგრაფის
ჩვენებით ლავუშ-ფსა (თანამედროვე აფხაზეთში)
და სხვ. ანტიკური მწერლობის ავამფის (ჭორო-
ხი), სუფსა (გურიაში).

ამ აშკარად ჩერქეზელი (ადიღური) სიტყვის
დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი
გავრცელება არ შეიძლებოდა უოფილიყო შემ-
თხვევითი. მართლაც, ს. ჯანაშიამ იმავე დასავ-
ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურა

¹ იჭვე, გვ. 151.

² ს. ჯანაშია, ჩერქეზელი (ადიღურთა) ელე-
მენტები საქართველოს ტოპონიმიაში. სსრკ
მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე ტ. I,
№ 8. 1940. გვ. 623 — 627.

სხვა ჩერქეზული წარმოშობის ელემენტებიც ტომონიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩერქეზულზე ყუბა „ხევის“, „ღელის“, „ხეობის“ მნიშვნელობით, რომელიც ცალკე გაგზავნა და შეტად გავრცელებული ზევის, ღელის, ხეობის გამოსახატავად გეოგრაფიულ სახელებში ჩერქეზეთში (აღიღწეა). ყუბარდოს ტერიტორიაზე ს. ჯანაშიას მოხაყვს შემდეგი სახელწოდებები: ზევი და ადგილი ჭაბაყუბა, ხევი დუ შაი ჭყუბა, ზევი და მთა-ჭაბაყუბა, ზევი და ადგილი შაბალ-ჭყუბა, ხევი და მთა შაიყუბა, ხევი არა-ლაიყუბა, მდ. ვაბაღ-ჭყუბა, მდ. შაბაი-ჭყაყუბა, მდინარე და მთა სარაღ-ჭყუბა, მდ. შყაბაყუბა („დათვისხევი“) და მრავ. სხვ. იგი გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებში: აგიღაყუბა (მდინარე ხინო-დავას მთებთან), აჭყუბა (მდინარე ქობულეთთან), მალთაყუბა (მდინარე ფოთთან), ბერეყუბა (ღელის სახელწოდება გურიაში), იმავე აღნაგობის, შემდგომში ქართული სუფიქსებით გართულებულ, სახელებში ჯერეყუბა (გურიაში), ბობოყუბათი (ციხისძირთან) და სხვ.

აღნიშნულისა და რიგი სხვა ფაქტის საფუძველზე ს. ჯანაშიამ დაადგინა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულ ტომთა ოდინდელი არსებობის ფაქტები; ასეთივე დებულება აქვს დამტკიცებული ივ. ჯავახიშვილის სპეციალურ შრომაში¹. ეს დებულება ქართული და სხვა კავასიული ტომების უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მტკიცე მონაბოგარს წარმოადგენს.

ბ. ინგოროყვას აზრით, სახელწოდებებში ლავრუსა, ნიკოფსისი ფსა (ფსა) ქართული წყლის აღმნიშვნელი სიტყვაა, რამდენადაც იგივე გვაქვს მდ. ფასისისა (ფაზისი) და urina-ს სახელწოდებაში; იგი ძველი ქართული სიტყვაა იქიდან ჩანს, რომ მას მრავალგვარი განშტოება მოეპოვება ქართულში და ასახელებს: „ფსა“ — „წყარო წყალი“; ფსანი — „მრავალი ფსა“, ფსა-ტილა „თოვლანარვი“; ფოსო, „ფოსვი“ — „დაღრმობილი“, წყლავანი ადგილი. შეგურულად ფსი ა მიემართება ადიღებულ მდინარეს, აღნიშნავს წყლის დიდრობას, დიდ წყლიანობას².

ჯერ ერთი, ფასისის „წყლის“ აღმნიშვნელ ფსა-სთან მიმართების საკითხი იბრუნებოდა მეცნიერებაში, შვებრამ ვადამყვეტილი არ არის.

იგი ფუთ-ფუჭისთანაც ამკლავებს კავშირს³. ასეთი კავშირი აღნიშნულ სიტყვებისა რომ დადასტურდეს კიდევ, იგი არ გამოვლენა ჯავახიშვილ-ჯანაშიას ზემოაღნიშნული დებულების უარსაყოფად და ფს-ს ადგილობრივის (ჩერქეზულობის) საწინააღმდეგოდ, რადგანაც საკითხი ეხება იმ ტერიტორიის, სადაც სწორედ მოსალოდნელია ჩერქეზული ელემენტების არსებობა. urina-ს სახელწოდებაში ფს-ს გამოვლენა არ შეიძლება სერიოზულ საბუთად გამოვლენას ქართულში წყლის აღმნიშვნელი ფს-ძირის არსებობის შესახებ.

ბ. ინგოროყვას მიერ მოყვანილი წყლის აღმნიშვნელი ფსა მგერულში ჩვენ არ ვიცით, ურველ შემთხვევაში, ბ. ინგოროყვა მის წყაროს არ უჩვენებს. ფოსო, ფოსვი კიდევ, რომელიც ბ. ინგოროყვას ასევე წყლის აღმნიშვნელ ფს-თან აქვს დაკავშირებული, საბას განმარტებით, არის მცირე „დაღრმობილი“ — არც მეტი არც ნაკლები ინტერპრეტაცია „წყლავანი ადგილი“ თვით ბ. ინგოროყვას ეყუთვნის და სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან მას არაფერი აქვს საერთო. იგი ფოსო-ს აღმნიშვნელია იმ გაგებით, რა გაგებითაც დღესაც ვიცნობთ ამ სიტყვას.

რაც შეეხება ფსა, ფსანი, იგი მართლაც წყლის ცნებას უკავშირდება და ამ კონტექსტში განიხილავს კიდევ მას ივ. ჯავახიშვილი⁴. შვებრამ ზემოთ საკითხი ეხება არა ფს-ს, არამედ — ფსა-ს, რაც ამჟამად ჩერქეზული სიტყვაა, ვარდა ამისა ფსა (ფსა) — ასეთი მნიშვნელობით გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად ქართულში არ იცის.

მიუხედავად ზემოთყვანილი ექვიპოტანელი მტკიცებისა, რომ ფს ადიღურ (ჩერქეზულ-ნი-დაგზე პოელობს აბსნას) ასეთი სიტყვა „წყლის“ მნიშვნელობით მხოლოდ ამ ენებს მოეპოვებათ, და, რომ იგი მხოლოდ ამ ენებშია, როგორც წესი, მდინარეთა სახელების საწარმოებლად გავრცელებული და დასავლეთ საქართველოს ტომონიკაში ამდენადვე მას ჩერქეზული ეტიმოლოგია აქვს, ბ. ინგოროყვა წერს: „ეს შეხედულება, რომელიც ასეთის კატეგორიულობით არის წარმოდგენილი, არ შეეფერება სინამდვილეს“⁵. ამასთან დაკავშირებით ბ. ინგოროყვა შენიშნავს: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ცნობიერების ძირითად საყვანაში საკითხებს ეხება, — ასეთის საბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საეჭუო ეტიმოლოგიაის (?!) კ. ლ.) საფუძველზე“⁶. ამას წერს ის ავტორი, რომელიც თვითონ არავითარ ანგ-

¹ იქვე, გვ. 626.
² იხ. ივ. ჯავახიშვილი. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и ближнего Востока древней эпохи Вестник древней истории, 1939. № 4 стр. 42 — 45.
³ ბ. ინგოროყვა, გიორგი მერნულე, გვ. 185 — 185.

⁴ იხ. ს. ჯანაშიას დასახელებული წერილი გვ. 626 — 627.
⁵ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავასიისა და მხლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრაბლემები. 1950. გვ. 34 — 35.
⁶ გვ. 184 — 185.

რომს არ უწევს ფაქტების ჩვენებას „ხალხების“ ისტორიის მართლაც ურთულესი და ძირითადი საკვანძო საკითხების გადაჭრისას“. ზემოთ სამი სიტყვის სავეკო გეომოლოგიის სახელით კი არ იყო არამედ, როგორც მკითხველი შენიშნავდა, ზუსტად დადგენილ სიტუაციაში შენეულობისა და ტოპონიმიურ სახელთა წარმოების მთელი სასტეგისა.

3. ინგოროვის აზრით, „ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფიქ“ აღნიშნავს წყალს, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოდინარეობს“¹. „რომ ამჟამად ძირის სიტყვა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიც ახსენება იმით, რომ — წერს პ. ინგოროვი — ჩერქეზული ერთგვარ (!) ქ. ლ.) ნათესაობაში იმყოფება ქართულიან (საერთო წარმოშობის სიტყვები არა ერთი და ორი შიშობდება ქართულსა და ჩერქეზულში), ანდა, შეესაძლოა იმათაც, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში ნასესხებია ქართულიდან“².

ქართული და ჩერქეზული მონათესავე ენებისა და მრავალი საერთო ძირი აქვთ, მაგრამ წყალსიტყვის ეს სახობა ფს (ფსა) საკუთრივ ჩერქეზულია. ამიტომ უდავლადია იმის თქმა, რომ ფს-გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიც“. როგორც სიტყვა, ისე მისი ტოპონიმიკაში გამოყენება ჩერქეზული ენისათვის დამახასიათებელი წესითაა შემოპოყენილი სიტყვებში წარმოდგენილი. რაც უნდა ქართულიდან ჩერქეზულში ამ სიტყვის ნასესხობობას, ვასაკვირია, როგორ შეძლება ასეთი რამის დაშვება მაშინ, როდესაც ასეთი სიტყვა თვით ქართულში არცა ვაქვს.

მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები 3. ინგოროვის ქართულად აქვს ჩაივლილი მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ქართულ სახელებს მოჰყავსო მგა, მოქვი, ისეთივეა, როგორც თმოგვი, ჩაქვი და სხვა.

განა ეს საკმარისია მეცნიერული საბუთთანობისათვის? არ უნდა გაირკვეს მოქვიმ ქვ თუ გომოიყუდა, მო რაღა არის, ქართულად რას ნიშნავს? ან ჩაქვიმ ჩა რას ნიშნავს და სხვა?

განა მეცნიერულად შეიძლება მივიჩნიოთ ატორის ქვემოთყვანილი მსჯელობა, რომლითაც იგი ცდილობს ალაკო-ს (ააკუ) ქართულობის დამტკიცებას? „ქართული წყაროების ჩვენების თანხმად, — წერს პ. ინგოროვი, — ალაკო-წყალი ეწოდებოდა მდინარეს გუდაუთის რაიონში. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელიდან ალაკო (ამ სოფელს ამჟამად ეწოდება ააკი). შეადარეთ სახელწოდება ალაკო (ალაკი) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ატაკი, დიკი, აზგაკი, აგრეთვე ბიკო (ბიკო-ხევი, ამჟამად ფოცხოვი)“³.

საქმეში ჩაბედული მკითხველისათვის, ფიქრობთ, აქ კომენტარები ზედმეტია.

პ. ინგოროვის მიზნად დაუსახავს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ყველა სახელი ქართულად გამოაცხადოს და ამისთვის იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ამა თუ იმ სახელის ქართული გეომოლოგიის დროს წამოიჭრება, უგაზულბულოვს აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზულ ენათა მონაცემებს ამ სახელწოდებათა ახსნისას. ამდენადვე მის მიერ მოცემული ახსნი გეოგრაფიული სახელებისა მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, ისევე როგორც ფაქტების უარყოფაზეა დამყარებული მისი მტყიცება, თითქმის აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ ენაზე მეტყველო ხალხს ჩნდება მხოლოდ მე-17 საუკ. მეორე ნახევრიდან.

კითხვა ისმის, როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? არავითარ ექვს არ იწევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიპოვება მრავალი გეოგრაფიული სახელი უდავოდ ქართული წარმოშობისა, ბევრი მათგანი საერთოდ ცნობილია. მგა, ცნობილია, რომ ცხუმს (ახლანდელი სოხუმი) ქართული წარმოშობისაა, მას მოჰყოლება კანონზომიერა მეგრულ-ქანური შიშინა შესატყვისი. ამჟამად დროს, მისი ქართულობის დამადასტურებელია ამ სახელწოდებაში ქართულისათვის ჩვეულებრივი ცხ კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურისათვის დამახასიათებელი არ არის. როგორც ცნობილია, სოხუმის ამ ძველი ცხუმცხომ ფუძიდან არის ნაწარმოები ქართული გვაჩები-ელ და არ სუფიქსებით: ცხომ-ელი-ძე; ცხომ-არი-ო.

ალარაფერს გამოშობთ ისეთი სახელთა ქართულურ წარმოშობაზე, როგორცაა: დალიძა, ტყურუ, მუხური, წყურგილა, ჯიხახორა და სხვ.

ბევრი სახელი ურთიღლებას იქცევს მართლაც თავისი ქართული დაბალოებით: კვიტული, მერხეული და მისთანები.

ბევრი გეოგრაფიული სახელი, რომლებიც პ. ინგოროვის მოჰყავს და ზოგიც სხვა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიძლება ქართული აღმოჩნდეს და ეს სრულებითაც არ არის მოულოდნელი, რადგანაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველსა და აფხაზ ტომებს ერთად ხანგრძლივად უცხოვრიათ (მაგრამ ეს არავითარ უფლებას არ გვაძლევს დავასკვნათ აფხაზეთისა და აფხაზური სახელწოდებების იქ არ არსებობს შესახებ).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზ ტომებს მკითხველი ურთიერთობა მჭირდება არა მხოლოდ კომპაქტურად დასახლებულ მეგრულ ტომთან, არამედ საკუთრივ ქართულ ენაზე მოლაპარაკებულთანაც. ამასთან დაკავშირებით ურთიღლებას იქცევს ის გარემოება, რომ რაც უფრო მივიწვივთ აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილისკენ, მით უფრო ნაკლებ შეიმჩნევა მეგრულის გავლენა და თავს იჩენს ქართულის გავ-

¹ იქვე, გვ. 185.

² იქვე.

³ გვ. 180.

ღენა. ამ საკითხებთან დაკავშირებით არა ერთ-ვის გამოთქვამს მოსაზრება ს. ჯანიასი ამის შესახებ, რომ ბზფერ მტყვევლების ქართული ენის ისეთი ფაქტები ახასიათებს, რომლებიც უცხოა უფრო სამხრეთით მდებარე აბეუის მტყვევლებისათვის, რომელზედაც მეგრულს ვაგ-ღენა ქარბობს.

წვენი მზრეც უერთადღება გენიდა მივაქცოთ ამ მიმართულებით ზოგ ფაქტს. აფხაზური ენის დიალექტებს ქართველურ ენებიდან აქვს შეთვისებული, მაგალითად, „ხერხის“ სახელწოდება. აბეურ დიალექტში, რომელიც უშუალოდ ეკვრის სამეგრელოს, იგი გამოითქმის „ახტარხა“-ის სახით. ამ სახეობას საფუძვლად უდევს ხერხის მრავალე ვარიანტი ხორხი — აფხ. ხტარხა (ი იძლევა ძა-ს), მაშინ როდესაც ბზფერ დიალექტში იგივე სიტყვა გამოითქმის ახა ა რ. ხა-ად. ამ სახეობას კი საფუძვლად უდევს ქართული სახეობა ხერხი. (ქართ. ე იძლევა ძ-ს).

„სომინდის“ სახელწოდება აბეურ დიალექტში გავრცელებულია „აფში“. ბზფერი დიალექტი კი სომინდისათვის იყენებს ქართულიდან შესულ სიტყვის აჯკურეა (აჯჭურეა). ქართული ჯღჭურა ნაწარმოებია ჯჭ — სიტყვიდან, რომელიც თავის მხრე შეიძლება უკავშირდებოდეს ჯჭ-თა ტომის სახელს. ურა სუფიქსი ქართული წარმოშობისაა. იმერეთში ჯჭჭურა ნიშნავს სომინდის მსგავს „უოცხის მცენარეს“. ქართულიდან იგი შესულა აფხაზურის ჩრდილოურ — ბზფერ — დიალექტში. ამას ნათელიყოფს ამ სიტყვის როგორც ქართ. — ურ სუფიქსი, ისე მისი დამოლოება — ეა. ჯერ კიდევ პ. ჰარაას აქვს გარკვეული, რომ აფხაზურში ეა დამოლოების შქონე სიტყვები ნასესხებია (უმათერესად ქართლისაგან შდრ. აჭუბეა (კოპე), ავალეა (კა-ლა), აბაღრეა (აბაღარ) — „ბელერა“, აფუგუბარეა „გორგოლა“ და მრ. სხვ. საფლესხმო ისაა, რომ აფჭურეა (ისე როგორც სხვა ეა დამოლოებისა სიტყვები) ბზფერში შესულა ქართული სახელობითის ი სუფიქსითურთ.

ამავე თვალსაზრისითვე საყურადღებოა, რომ ბირიქითა აფხაზების აშხარელთა ტომში, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. იფრ-ჯუღის სანაპიროზე ცხოვრობს, აქედან ვადაიტანა გვართა ქართული ძე — ძა დამოლოება: კე-ქმა, კოვლა (კილაქე), ავტე, ეცმა. ამავე გვართა რუსულად გამოთქმისას ისინი ძა-ს ჩამაწორებენ და აფხაზურ ბა-ს ურთავენ: Кялба, Агба, Екба და სხვ.¹

ენობილია, რომ აფხაზები, ისევე როგორც ძველ საქართველოში შემაველი სხვა ტომები, ქართული კულტურის გავლენას განიცდიდნენ, მერილობით ენა აფხაზეთის სამთავროს გარკვეული ეპოქიდან ქართული ჰქონდა. ამის ვა-

მო, ცხადია, არა ერთი და ორი ხიტყვა უნდა აფხაზურში, მაგრამ ზემოთყვანილი ფაქტები მარტო კულტურული გავლენის შედეგის არა ნახს. ასეთი გავლენები აფხაზ და ურთაველ ტომთა შვიდრო, უშუალო კონტაქტის შედეგი უნდა იყოს.

ტომთა გარკვეულ მოძრაობებს აღვლილი ჰქონდა, უნდა ვიფიქროთ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აფხაზეთშიც. ქართველ ტომებსაც თავისი ნაკვალევი დიუნჩეგვით როგორც აფხაზურ ენაზე, ისე აფხაზეთის ტომონი-მიკაზე, მაგრამ ეს იმის როდი ნიშნავს, რომ აფხაზე ტომები აქ არ სახლობდნენ და ისინი ქართველ ტომებს ხვდებიან მხოლოდ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა, თითქმის ისინი დედამოდიან აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან.

არავითარი ურყუარი ისტორიული საბუთი ამ დებულებისათვის არ მოიპოვება. ენობრივი ფაქტები კი საწინააღმდეგავს ამტკიცებენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამჟამად სახლობს აფხაზური მოვლემის ორი ტომი (აბაზება): აშხარელები და ტაპანთელები. აშხარელებზე შედარებით გვიან XVIII — XIX საუკუნეების მანძილზე არიან გადასული აფხაზეთიდან (და ეს დასტურდება ამ ხანის მოგზაურთა ჩვენებებით), ტაპანთელები კი უფრო ძველი მკვიდრები ხანა ჩრდილო კავკასიისაა. როგორც ბოლომდელ სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ტაპანთელები აფხაზეთიდან არიან გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში გაქცილებით უფრო ადრე-წინაჲ. ა. გენჯის აზრით, არა უფვიანეს XIV საუკუნისა.

აშხარელების მსგავსად ტაპანთელებიც აფხაზეთიდან, კერძოდ იმ ტერიტორიიდან, სადაც ისინი ქართველ ტომებს ხვდებოდნენ, რომ არიან გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში, ნათელი ხდება ენობრივი მონაცემების საფუძველზე.

ტაპანთელებს აქედან წაუღიათ ქართულიდან საკმაოდ ძველად შეთვისებული სიტყვები, როგორცაა, მაგალითად: არ — „ჯარი“, შდრ. ძე. ქართული ე რ ი (ეს სიტყვა ქართულიდან შეთვისებული გვხვდება ყველა აფხაზურ კოლოშია გან-ქართ ვანი (ესეც ყველა აფხაზურ კოლოშია შესული); ჩტა — ა + თისაგან [ქართ. „თიგა“] ქართულში თიგამ აფხაზურში ხმოვნის რედუქციის საფუძველზე მოგვეა ა + თია. თი ბვერა ტაპანთურში ვადაიტანა საერთოდ ყველა სიტყვაში ჩტ-დ, ამიტვად, ქართულში თიგამ იქ ჩტ-სა საზე მიიღო).

ამ რიგის ფაქტები სხვაეც ბვერი დასტურდება. ეს ამჟიას ხდის, რომ ტაპანთელებს ეს სიტყვები შეიძლებოდა ქართულიდან შეეთვისებინათ ქართული ენის უშუალო გავლენის შედეგად, მის უშუალო მუზობლად ყოფნის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სხვა ახსნა გამოიციხებულია, რად-განაც არც ერთ ჩრდილო კავკასიის ტომს, ტაპანთელების გვერდით მოსახლეს, ეს სიტყვებ არ მოგპოვება. ამჟიასა, ტაპანთელებში ისინი

¹ იხ. აფრონის: აშხარელი დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-ბაზურ დიალექტთა შორის. 1954 წ. გვ. 224.

აქედან წაიღეს. ეს უტყუარი ფაქტია ქართლის აფხაზურზე ძველი გავლენისა.

ასეთი ფაქტების არსებობის პირობებში ვანა შეიძლება იმის მტკიცება, რომ აფხაზი ტომები ქართველებთან ერთად მხოლოდ მე-17 საუკუნეში იწყებენ ცხოვრებას?

როგორც ენობრივმა ფაქტებმა დადასტურეს, აფხაზურ ენაზე შეტყვევლ ტომებს, პ. ინგოროყვის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ქართველ ტომებთან ჰქონია უძველესი მჭიდრო ურთიერთობა. ამ ურთიერთობის შედეგად შეიმჩნევა აფხაზურის უდავო გავლენა ქართველურ ენებზე არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ მორფოლოგიის გარკვეულ უბნებშიც.

კერძოდ, ვარგა ხანია ყურადღებას იქცევს (პ. ვარააა, არნ. ჩიქობავა) მეგრულ-ქანურის ზნებაში აფხაზური წარმოშობის წინდებულების არსებობა და მასთან დაკავშირებით სტატეური ზნების ფუძის აფხაზურ უაღაზე ავება. ქართულში, როგორც წესი, მდგომარეობის გამოხატველი (სტატიკური) ზნები წინდებულოვან ელემენტს არ დაირთავს; მაგ., არ შეიძლება წინდებულო ჰქონდეს „ზის“, „წევს“, „სძინავს“ და მსგავს ზნებს. ქართული ამ შემთხვევაში იცავს სტატიკური ზნების უძველეს ნორმას. მაგრამ მეგრულ-ქანურში იგივე სტატიკური ზნები ამ მხრივ არსებითად განსხვავდება ქართლის სათანადო ზნებისაგან: მეგრულ-ქანური სტატიკური ზნები წარმოდგენილია სხვადასხვა წინდებულოთ, მაგ., „ხე“, „ზის“, მაგრამ ა-ლა-ხე — „გვერდი-ზის“, მი-თ-ხე — „შიგ-ზის“, ვი-მა-ხე „რანედმე ზის“, ა-შა-ხე — „შორის ზის“ და სხვ. ეს სისტემა მეგრულ-ქანური სტატიკური ზნებისა შედგენილია აფხაზურის გავლენით. სისტემის გარდა, აფხაზურია აქ თვით წინდებულოვანი მასალა, შდრ. აფხ. დ-ტიოუბ — „ზის“, მაგრამ დ-რ-ჯ-ლა-ტიოუბ — „შორის, შიგ ზის“ დ-თ-ტიოუბ — „რამეში შიგ ზის“ და სხვ. ამ რიგის ფაქტები ენაში უბრალო გავლენის შედეგი არ არის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აფხაზურ სუბსტრატთან მეგრულ-ქანურში. ეს ფაქტი შორეული წარსულის ფაქტია და აღნიშნულ ტომთა უძველეს მჭიდრო კონტაქტზე მიუთითებს.

ამის შემდეგ იმის განცხადება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზები მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდებიან, სრული გუუგებრობაა, უგულუბელოვანა თანამედროვე მეც-

ნიერების უდავო საგულისხმო მიღწევების. (მხედველობაში გვაქვს ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშვილის და სხვათა დებულებები) და ექსპანსიონიზმზე ფაქტიურ მონაცემებს.

ჩვენ აქ განვიხილოთ აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ხალხის დასახლების ზოგი საკითხი. ფაქტიურ ვითარებასა და დოკუმენტურად დადასტურებულ ცნობებს ეწინააღმდეგება პ. ინგოროყვის მტკიცება, თითქმის აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში იყოს ჩამოსახლებული.

თავისი დებულების დასადასტურებლად პ. ინგოროყვის მიერ წარმოდგენილი ახსნა ტომონიმიკის მეტწილ შემთხვევაში მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, მაკარ ლინგვისტიკურ ანალიზს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბლომადა გვაქვს ქართული ეტიმოლოგიის მქონე უძველესი ტომონიმიკური სახელები (და ეს სახელები ბუნებრივად, მაგრამ აქვე მდიდრადვეა წარმოდგენილი აფხაზური (და საერთოდ აფხაზურ-უბიხურ-აიღურთ) უძველესი გეოგრაფიული სახელები).

აფხაზეთის სამეფო თავისი შინაარსით იყო ქართული სამეფო. სხვა არაი არ ჰქონია ამის შესახებ ამ საკითხის არც ერთ სერიოზულ მკვლევარს, ეს აუცილებლობით გამომდინარობს სათანადო ფაქტებიდან, მაგრამ ეს როდი გულისხმობს იმას, რომ ამ ქართულ სახელმწიფოებზე ერთეულში არ შედიოდნენ და არ მონაწილეობდნენ აფხაზები (აფხაზურ ენაზე შეტყვევლი ტომებიც), ისევე როგორც მეგრულ-ქანები და სვანები. პირიქით, ქართული კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია აღნიშნულ ეპოქაში სწორედ ის ფაქტი, რომ აფხაზეთის შესვერებში ქართული კულტურის წარმომადგენლები არიან და ქართული ენის როგორც კულტურის მძლავრი იარაღის გამოყენებით მეტოქეობას უწყვეტ მანამდე დასავლეთ საქართველოში ამ აღნიშნულებით გამოყენებულ ბერძნულ ენას.

პ. ინგოროყვა უგულუბელოვან იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ქართველები და აფხაზები მონათესავე ხალხებია; რომ შთაი მონათესავე ენები შეიცავენ უძველეს საერთო წარმოშობის ენობრივ მასალას; უგულუბელოვან იმ ფაქტს, რომ ამ ხალხებს ერთიანი ისტორია ჰქონდათ, რაც დაკავშირებული იყო მათ უძველეს ერთობა წარმოშობასთან.